



საქართველოს პარლამენტი

საქართველოს პარლამენტის წევრი



1579/4-1/22 2 21022022

1579/4-1/22

21-02-2022

საქართველოს ფინანსთა მინისტრს

ლაშა ხუციშვილს

ბატონო ლაშა,

საქართველოს პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტში 03.02.2022-ში შემოსული წერილის (N2-1193/22) საფუძველზე და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის შესაბამისად მოგმართავთ კითხვით, რომელი მეთოდოლოგიის საფუძველზე მოხდა საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის მე-11 თავის, 71-მუხლის, მე-3 პუნქტის შესაბამისად, მუნიციპალიტეტებისთვის განსაზღვრული დამატებული ღირებულების გადასახადის განაწილების კრიტერიუმების ხვედრითი წილის განსაზღვრა დამატებული ღირებულების გადასახადის გამოთვლისას?

ასევე, გთხოვთ წარმომიდგინოთ ინფორმაცია საქართველოს ყველა მუნიციპალიტეტის შესახებ, საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის მე-11 თავის, 71-მუხლის, მე-3 პუნქტის შესაბამისად, მუნიციპალიტეტებისთვის განსაზღვრული დამატებული ღირებულების გადასახადის განაწილების კრიტერიუმების მიხედვით.

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
ნინო წილოსანი



საქართველოს
ფინანსთა სამინისტრო
Ministry of Finance
of Georgia



<https://edoc.mof.ge/public/#/>

19010-04-03-2-202203021707

N 04-03/19010

02/03/2022

საქართველოს პარლამენტის წევრს
ქალბატონ ნინო წილოსანს

ქალბატონო ნინო,

საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ განიხილა თქვენი მიმდინარე წლის 21 თებერვლის N1579/4-1/11 წერილი და გაცნობებთ, მუნიციპალიტეტების შემოსავლების დამოუკიდებლობის გასაზრდელად და დეცენტრალიზაციის გასაძლიერებლად, 2018 წელს გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის ორგანიზაციის (GIZ) მხარდაჭერით შემუშავდა ფორმულა მუნიციპალიტეტებისათვის დამატებული ღირებულების გადასახადის განაწილებაზე.

აღნიშნულ ფორმულაში მთავარ კრიტერიუმად განისაზღვრა მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მოსახლეობის რაოდენობა, რომლის მიხედვითაც ნაწილდება დამატებული ღირებულების გადასახადის ჯამური მოცულობის 60%-ი. გარდა ამისა, დღგ-ის ჯამური მოცულობის განაწილებისას გამოყენებულია:

- 6 წლამდე ბავშვების რაოდენობა - რომელზეც დამოკიდებულია მუნიციპალიტეტების სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხარჯის მოცულობა. აღნიშნული კოეფიციენტით ნაწილდება ჯამური თანხის 15%;
- 6-დან 18 წლამდე მოზარდთა რაოდენობა, რომელთანაც დაკავშირებულია მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ-ების (გარდა სკოლამდელი აღზრდისა) ხარჯის უდუდესი ნაწილი. ამ კრიტერიუმით ნაწილდება მთლიანი რესურსის 10%;
- მუნიციპალიტეტის ფართობის მიხედვით განსაზღვრული კრიტერიუმზე ნაწილდება მთლიანი რესურსის 5%;

- ასევე, მაღალმთიანი მუნიციპალიტეტის მხარდაჭერის მიზნით შემოღებულ იქნა დამატებითი კრიტერიუმი, კერძოდ მაღალმთიან დასახლებებში მუდმივად მცხოვრები მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით ნაწილდება დღგ-ს მთლიანი მოცულობის 10%.

ამასთან, 6 წლამდე ბავშვების და 6-დან 18 წლამდე მოზარდების რაოდენობის მიხედვით განაწილების პროცენტული მაჩვენებლების განსაზღვრისას გამოყენებულ იქნა ის საშუალო მაჩვენებელი, თუ მთლიანი ხარჯების რა ნაწილს ხარჯავდნენ მუნიციპალიტეტები თითოეული მიმართულებით.

დანართის სახით გიგზავნით მუნიციპალიტეტებისათვის განსაზღვრული დამატებული ღირებულების გადასახადის განაწილებას.

დანართი 1 ფურცელი

გიორგი კაკაურიძე



მინისტრის პირველი მოადგილე

